# სახალხო გაზეთი

№ 597 შაბათი, 12 მაისი, 1912 წ. № 597

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

27 მაისს, „ახალ კლუბის“ ბაღში გაიმართება

## სეირნობა ბაზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას **დახმარებას**, ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების“ კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254.3)

---

# სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად 1 წ. „გრდემლს“.**

## წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
## თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე**.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა**.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

10 მაისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამთო ინჟინერი

## დავით ვასილის ძე გაბაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები: **გენერალ-მაიორი ვასილი დავითის ძე და ნინო ნიკოლოზის ასული გაბაშვილები და განსვენებულის მეუღლე ელისაბედ თევდორეს ასული.**

ცხედრის გამოსვენება დანიშნულია დღეს, შაბათს, 12 მაისს საკუთარ სახლიდან (კობის ქუჩა № 13) დილის 10 საათზე ძველ ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავ სასაფლაოზე. (1—445—1)

---

## ქართული თეატრი

კვირას, 13 მაისს 1912 წ.

**ბრ. რობაქიძე**

რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას:

## ხელოვნება და სინამდვილე

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე, ადგილების ფასი დაკლებულია.
(2.1262.1) ადმინისტრატორი **იორდანიშვილი**.

---

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.
კვირას, 13 მაისს 1912 წ.

წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ ელ. ჩერქეზიშვილის და ოლ. ლეჟავას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

კომედ. 4 მოქმ. **ხანუმა** ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბადრიძე, კორინთელი, სოფ. რომანიშვილი, მ. ქართველიშვილი, ო. ლეჟავა, თ. ყიფშიძე, ყოჩიშვილი ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, ვ. ნინიძე, გ. ჯაბაური, კ. ხახანაშვილი, დ. ჩიქოვანი, ნ. ჭამკვეტაძე. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.
ადგილების ფასი: 50 კაპ. 5 კ.-დე. რეჟისორი **ალ. წუწუნავა**.
ადმინისტ. **სვ. ჯულელი**. მორიგი წევ. **ის. ჭანტურია** (4—[illegible]24—2)

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.**
**კვირას, 13 მაისს,**
მსახიობი **ნიკო გოცირიძე** გამართავს

## სალიტერატურო-სამუსიკო დილას,

დამსახურებულ მსახიობის **ვლ. ალ.-მესხიშვილის**, დრამატურგ **ი. გედევანიშვილის**, თეატრ ,,**მინიატიურის**'' ცნობილ მსახიობთა, **მიხ. კავსაძის გუნდისა** და სხვათა მონაწილეობით. **პირველ განყოფილებაში** ლექტორი ტფილ. ქალთა უმაღლეს კურსებისა ბ-ნ **ს. კაკაბაძე** წაიკითხავს

**ლექციას: „გიორგი სააკაძის პიროვნება ქართულ ისტორიაში“.**

**მეორე სალიტერატურო განყოფილებაში** მონაწილეობას ღებულობენ: მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი (წაიკითხავს თანამედროვე სცენებს) და შემდეგი მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს: დრამატურგი ი. გედევანიშვილი, ია ეკალაძე, ს. მგალობლიშვილი, ირეთელი, გ. ქუჩიშვილი, ს. აბაშელი, მსახიობნი ი. კ. ლანგფელდი და ა. ა. კოჩეტოვი და ნ. გოცირიძე (კომიკური სცენები) და 9 წლის მ. ირემაშვილი. **მესამე კონცერტულ** განყოფილებაში: ქართ. მომღერალთა გუნდი შეასრულებს ქართულ ეროვნულ სიმღერებს. ცნობილნი მსახიობნი თეატრ ,,მინიატურისა'', ქ-ნნი ი. ნ. დაროვისა, ე. ს. პოლტცერი, ბ. ნ. ი. კოჩეტოვი შეასრულებენ **ბოშთა რომანსებს**. პ. ი. სლუცკი (პიანინო), ლ. ზ. გუტკინი—სკრიპკა, ბ. ჩუბინაშვილი—იმღერებს რომანსებს. ადგილების ფასი 5—50 კ.
2.[illegible]260.[illegible] **დასაწყ. ნაშ. 1 ს.** გამგენი: **ნიკო გოცირიძე, გ. სალარიძე**.

---

**ორშაბათს, 14 მაისს, შუადღის 12 ს. „ახალ კლუბის დარბაზში, სასახლის ქ. დანიშნულია**

## საზოგადო კრება

ტფ. სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ
**უფასო სასადილოს საზოგადოების წევრთა.**

განსახილველი: 1. გამგეობის-მოხსენება ანგარიშის შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.
3. ახალი წევრების მიღება.
4. 3 სარევიზიო წევრის არჩევა. (2—444—1)

---

## ორშაბათს 14 მაისს მუშტაიდის ბაღში

საზოგადოება

## „განათლება“ ჰმართავს დიდ სეირნობას

ბავშვებისათვის იქნება მრავალი გასართობები და **ეტლით სეირნობა, ალეგრი**, ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი ბედის კლიტე, ყვავილები, უფასო სინემატოგრაფი და ბევრი სხვა გასართობები. **დასაწყ. ნაშუადღ. 3 ს.** დაუკრავს **სამხედრო მუსიკა და დუდუკი**, შესვლის ფასი 25 კ. და ყმაწვილებისათვის 15 კ. (2.446.1)

---

**ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,** ქუთაისში

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საქონელი; ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილ ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კროვატები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები. კლიონკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფირფიტები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სიმები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილებანი, ორთქლით-მრეცხავები (პარომიკები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათუმის ოლქის წარმომადგენლობაც; გვაქვს **საწერი მანქანა ,,ტორპედოსი''**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.8)

---

**ზუბალაშვილების სახელობის სახლი**
დღეს, შაბათს, 12 მაისს საღამოს 8 საათზე
რუსულ ენაზე **ი. თ. პალმოვი** წაიკითხავს ლექციას

## ცოდნის მნიშვნელობა კაცობრიობ. ს ისტორიაში.

I. ძირითადი განსხვავება ცხოველთა სამეფოს ევოლუციასა და კაცობრიობის წინსვლაში. პროფეს. მეჩნიკოვის შეხედულება ადამიანის წარმოშობის შესახებ. მეცნიერების ჩანასახი პირველი ყოფილ კულტურაში და ძირითადი მიზანი ამ ხანაში. მძლავრი გავლენა ცოდნისა თანამედროვე სახელმწიფოთა მთელ ყოფა-მდგომარეობაზე. რამდენიმე პარალელური სურათი რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა ცოდნის დასახასიათებლად.—II. მეცნიერებისთვის წამებულნი. რამდენიმე შენიშვნა მეცნიერებისთვის „წამებულების“ შესახებ. მეცნიერების გაყალბება. აზრის თავისუფლების თანდათანი გამკვიდრება. და სრულის შენიშვნები. ფასები 1 მ.-დან 10 კ.-მდე. (1.448.1)

---

## ახალი კლუბი

ქართველ თავად-აზნაურობის თეატრი. ქართული საოპერო ამხანაგობა.
ორშაბათს 14 მაისს 1912 წ.
წარმოდგენილი იქნება **ქართულს ენაზედ**.

## დემონი

ოპერა 3 მოქმედ. და 5 სურათ. ა. რუბენშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილისა, ისტამანოვისა, პრესინსკაია, ბ-ნნი ისრიშვილი. ო-დი ბარათოვი, დანაშვილი, დავიდოვი და ცხომელიძე.
**ხორო შესდგება 40 კაცისაგან.**
რეჟისორი ბელსკი — ლოტბარი ნ. გ. ქართველიშვილი
ხორმეისტერი პ. პ. ფალიევი — ადმინისტრატორი ცხომელიძე
**საყოველთაო წარმოდგენა**
ადგილების ფასი სამი მანეთი და ათი შაურიდან ორ აბაზამდე. ბილეთები იყიდება კასაში 11 სათიდან $2^1/_2$ ს. დღისით და 6 სათიდამ 8 ს. საღამოს. (3—[illegible]24[illegible]—3)

---

ტელეფ. 296 ბაღი **ედემი** ვერაზე ტელეფ. 296

ყოველ დღე 2—6 და საღ. 10—2 საათამდე უკრავს ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი **ბ. კაზიმირის** ხელმძღვანელობით.
ბაღშია მოწყობილი სამზარეულო ქართულ-ევროპიულ საჭმელ-სასმელებით. შეიძლება დაკვეთა სადილ-ვახშმებისა. სანოვაგე ყოველდღე ახა ლ-ახალი.
(5—1255—2) **ბაღის პატრონი კ. ბაქრაძე.**

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

## ყურადღება მიაქციონ

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის“,

25 ცალი 15 კ. და 10 ც.—6 კ.
**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.**
**ყველგან იყიდება.**
თამბაქ. ქარხანა

## „ძმ. სეილანოვები“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.42)

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება უცხო ენიდან ნათარგმნი წიგნები:**

| | |
|---|---|
| აივენგო. ვოლტერ სკოტ.ი.ფ. —1 მ. კ. | კაიაფის ვაჟიშვილი, ნათ. ყუბ. 50 „ |
| ათი მოთხრობა. 20 „ | ლედი ჯენ. ჯემისონისა. 35 „ |
| ამბავი და მოთხრობანი. ნათ. გ. ყიფშიძისა 15 „ | მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე-მეფე, მედია. 50 „ |
| აზიის მნათობი. ინდ. თქმულება. 10 „ | მარსელიელნი. ნათ. ელ. ანტ. 25 „ |
| ადამიანის ცხოვრება. 50 „ | მაკბეტი. ივ. მაჩაბლ. ნათ. 40 „ |
| აღდგომა. ტოლსტ. 1— | მეუფება წყვდიადისა ლ. ტოლს. 40 „ |
| ასის წლის შემდეგ. 1— | მაზეპა. 20 „ |
| ბავშვის მოვლა. ნათ. ვას. მაჩ. 40 „ | მოლიერი. 50 „ |
| ბარტექ ძლევა მოსილი. სენკ. 20 „ | ნაძირალნი, გორკ. 25 „ |
| გლეხი კაცის ისტორია. 2—50 „ | ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან 25 „ |
| გლეხი კაცი. პოლენცოსი. 1 | ორი ეტიუდი. რუბაკინი. 20 „ |
| დონ-კიხოტი. ნათ. ნ. ავალ. 2— | ოქროს მოყვარულნი. 15 „ |
| დონ-კიხოტი. შემ. ნათ. დ. ყიფ. 25 „ | რამას განდევნა. ნათ. ალ. სარაჯ. 40 „ |
| დაკარგული სამოთხე. 40 „ | რომანიდან „93 წელი“. ჰიუგოსი 20 „ |
| დემონი. გურიელის ნათ. 10 „ | სპარტაკი. 60 „ |
| ვაი ჭკუისაგან. ნათ. განდ. 35 „ | შავი სპარტაკი. 40 „ |
| ზვიმა. ქინაქინის ამბავი 10 „ | ცეცხლითა და მახვილითა. ნათ. გ. ყიფშ. 1—60 „ |
| თხუზულებანი პუშკინისა. 50 „ | |
| იუდა. ლექსი ნადსონისა. ნათ. ი. ფერ. 5 „ | |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. 50 „ | |

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.42)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1033—221)

---

## შპალიერი
## ძმ. ტარნოპოლთა

**ქარხნისა.**
**ტფილისის განყოფილება.**
იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355.
**საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება**, თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.15)

---

ელექტრონისა და რენტგენის
**სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—54).

---

## ექიმი

**შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 1.

---

**ქუთაისი**

შუაგულ ქუთაისში, „მწვანე ბაზარში“, ახლად გაიხსნა
**ლამაზად გაკეთებული და მორთული**
**პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

## „ბრისტოლი“

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო**, სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები**.
**ფასები ზომიერია.** ქუთაისი (25.1194.24)

---

ქუთაისი

## ქუთაისში
## რკინეულობის სავაჭრო

**სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა**.
(25.1257.2) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი**.

ქუთაისი

---

## ქუთაისში
## ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
**1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ** ჩვენი
**რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.**
და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, ,,ჟესტი'', სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.
**ფასები ზომიერია.** (25 1195.24)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.**
**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი | **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | **მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიაო-ქალ. სნეულ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვ. | **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$. |
| კან. ვენ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—335)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 298)

გამოცდილმა
## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსოვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის**. ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.22)

დოქტორი მედიცინისა
## ი. ე. თიქანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 164)

**ექიმი ნ. ტ. მულინი** სნეულებანი: **ყელისა, ყურისა და ცხვირისა** იღებს შუადღის 12—2 საათამდე დ საღამოს 6—8 საათამდე. სერგიევის ქუჩა № 3. (1—442—1)

ვაგზლის კერძო
## სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606**

(წლ.—1018—266)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—33)

**ექიმი** კბილისა **არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.32)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტოლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.108)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—155).

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—89)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.


## სომხური პრესა

**„ზიგზაგის“ საქციელის გამო.**

„ჰორიზონი“ კვლავ ეხება „ზიგზაგის „საქციელს და ამბობს; „ეს აყალ-მაყალი რომ საგაზეთო პოლემიკის საზღვრებს არ გასცილებოდა, ვინ რას იტყოდა. ნუ თუ მეფე თამარის რომელიმე მცნობი ამის გამო დაჰკარგავდა თავის აზრს მის შესახებ. ქართულმა გაზეთებმა შეუმჩნევლად ეს კერძო მოვლენა საზოგადო მოვლენად აქციეს. აი, სწორედ ეს არის ცუდი, ეს არის გასაკიცხი, შეუწყნარებელი. ღმერთო, როგორი ზნე ჩვეულებანია! საკმარისია, „ტიფლისკი ლისტოკი“-ს რედაქტორი სომეხი იყოს, რომ მაშინვე ეს ამბავი გადაედოს მთელს სომხის ხალხს დ ეს გაზეთი კი მთელს სომხობის აზრის გამომთქმელად და ვექილად აღიარონ. ქართველმა შოვინისტებმა როდის უნდა აიღონ ხელი ამ საზიზღარ ხელობიდან- როდის უნდა შეითვისონ, რომ სასირცხვილოა სნეულ ციებ-ცხელებაში ყოფნა. ნახეთ საქმე სადამდე მისულა: გაუგიათ კიდეც, რომ ფელეტონისტი ებრაელია, მაგრა მიუხედავათ ამისა, მაინც სომხის სახელს ათრევენ, ვინაიდან ტიფლისის ლისტოკის პატრონი სომეხია. საუცხოვო ლოღიკაა, საუცხოვო ბედია.

საკმარისი იყო ერთ ტუტუც ფელეტონისტს დაეჯღაბნა, საკმარისი რედაქტორის სომხური გვარი, რომ ისტორიულ მნიშვნელოვან დღეს ერთ და იგივე მდგომარეობაში მყოფ მეზობელ ხალხთა შორის ხელახლად განახლებულიყო მტრობა მძულვარება, ხელ ახლად შხამი მოჰმატებოდა სწორედ ამ დღეს. იცით თუ რის გამო? ყოველი სომეხი, რომელმაც ცოტად თუ ბევრად იცის თავისი ისტორია, პატივი უნდა სცეს ამ მნიშვნელოვან ადამიანს (თამარ მეფეს), მოწიწებით უნდა მოჰყრას მის ხსოვნას, რადგანაც თამარის მეფობის ხანა განახლების დროს იყო ამასთანავე სომხეთის ერთ უდიდეს ნაწილისათვის. ეს ის ხანა იყო, როდესაც **ანი** თამარმა ჩამოაშორა ქურთების უღელს, მიანიჭა ეროვნული მთავრობა, რის მეოხებითაც იგი შევიდა კულტურულ განვითარების და აღმაშენებელ დიდ საქმიანობის ერთ ერთ უდიდეს და ბრწყინვალე ხანაში. ასე იყო იგივე ხანა **არარატის** ქვეყნისათვისაც. წადით და ნახეთ, თუ რამდენი ლამაზი შენობა აგებულა ამ ხანაში და რამდენ შენობებზეა წარწერილი თამარის სახელი. სამწუხაროა, რომ დღემოკლე იყო თამარის ბრწყინვალე ხანა, როგორც საქართველოსათვის, ის სომხეთისათვის. სწორედ ეს გარემოება უფრო აძვირფასებს თამარ მეფის და მის თანამემწეების ხსოვნას. უვიცობა, ბოროტი განზრახვა, ეროვნული ფანატიზმი ჰშხამავს იმ გვარ ბრწყინვალე წუთებს, როდესაც ერებს შეუძლიანთ ერთმანეთთან დაახლოვება იგრძნონ. როდესაც დიდ საქმიანობის ლამაზ ხსოვნას შეუძლიან გვაჩვენოს, თუ რამდენად წვრილმანი და საბრალოა შოვინისტების ანგარიშები და რამდენად ფართო და უდიდესი პრინციპია ერთა სოლიდარობა. სირცხვილი, საუკუნო სირცხვილი იმათ, რომელნიც ვერ შესძლებენ შეიკავონ თავიანთი გულისთქმანი იმ ისტორიულ მოვლენის წინაშე, გოროიცაა ყოველ პატივისცემის ღირსი მეფე თამარის ხსოვნა“.

## სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

**როძიანკო თავმჯდომარეობს.**

**დმიტრუკოვი** კითხულობს მოხსენებას სამხედრო — სასამართლოთა ხარჯთ-აღრიცხვისას, რომელიც ნავარაუდევია 1,598,987 მან. და საბიუჯეტო კომისიას შეუცვლელად დაუტოვებია.

**კუზნეცოვს** ჰსურს, ოქტომბრისტების შეხედულებას სოციალ-დემოკრატების შეხედულება დაუპირდაპიროს, რომ ხუთი წლის განმავლობაში სათათბირომ ბევრი რამ გააკეთა. მოლაპარაკეს ცნობები მოჰყავს და აღნიშნავს, ხუთი წელიწადი რომ ავიღოთ, იმ ორას კაცზე, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ „შრომის ჯგუფელთა“ და სოციალ-დემოკრატების მიერ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ შეტანილ შესწორებისა, თითოზე ექვსი სიკვდილით დასჯილი მოდისო.

**სინადინო:** დასჯილთ რამდენი-ღა მოუკლავთ?

**მემარჯვენეთა ხმა:** ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე უნდა ლაპარაკობდეთ!

**კუზნეცოვი** განაგრძობს: სიკვდილით დასჯის ინსტიტუტი არამც თუ მარტო რუსეთში გაძლიერეს, სპარსეთშიაც კი გადაიტანესო.

**თავმჯდომარემ** სამჯერ გააფრთხილა კუზნეცოვი, ხარჯთ-აღრიცხვაზე ილაპარაკეთ, სპარსეთში ეგ ხარჯთ-აღრიცხვა არ მოქმედებსო.

**კუზნეცოვი** განაგრძობს: მოვა დრო, როდესაც პროლეტარიატის წარმომადგენელნი სპარსეთის ხალხს გულწრფელად მიესალმებიან და თანაგრძნობას გამოუცხადებენ, რომ რუსეთის მთავრობის მიერ თავზე მოხვეული უბედურება ვერ აიცილესო. (მემარცხენეთა ტაში, მარჯვნივ და ცენტრში იცინიან).

**ობრაზცოვი.** სიკვდილით დასჯის გამო უნდა მელაპარაკნა, რადგანაც ბევრი ამას საპროვოკაციოდ სარგებლობს ხოლმე, მაგრამ თავმჯდომარემ მართალი სთქვა: ხარჯთ-აღრიცხვასთან კავშირი არა ჰქონია ამ საკითხსა და ამიტომ აღარ ვილაპარაკებო.

**პურიშკევიჩი** მოითხოვს ხარჯთ-აღრიცხვის მიღებას და აღნიშნავს, სათათბიროში სამიტინგო სიტყვებს ადგილი არ უნდა ჰქონდესო. მაგალითად, ძალიან ამაღელვა კუზნეცოვის ხულიგანურმა სიტყვამაო.

**თავსჯდომარე** უკანასკნელ სიტყვების გამო მოლაპარაკეს აფრთხილებს.

**პურიშკევიჩი** ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვებით ათავებს ხალხის აღელვება შეუძლებლად უნდა გავხადოთო.

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს.

**დმიტრუკოვის** მოხსენებით უკამათოდ მიიღეს სამხედრო მინისტრის კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვა. მიიღეს აგრეთვე **პახალჩიკის** შესწორება, სამინისტრომ შეიმუშაოს კანონ-პროექტი სამხედრო უწყების დაწესებულებათა ქონების მოხელეების უზრუნველყოფისა.

**ხვოშჩინსკი** კითხულობს მთავარ საინტენდანტო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვას, ნავარაუდევს 347,997,042 მან. საბიუჯეტო კომისიას დაუკლია 1,749,488 მან.

**ვორონინი** რუსის ხალხს მიჰმართავს, ქალალდის შრაშუნმა არ დაგაშინოს, რევიზია სრულიად ვერაფერს შველის ინტენდანტთა მძარცველობასაო.

**გუჩკოვი** აღნიშნავს, უწყებაში ბევრი რამ შეუცვლია რევიზიას და ეხლა საქმე ცოტათი გამოკეთებულაო. მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, რადგან ჯარს სურსათს უგვიანებენ ხოლმეო. გუჩკოვს შეაქვს ფორმულა: სამინისტრომ ამის ჯეროვანი ყურადღება მიაქციოსო.

ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯეტო კომისიის გამოანგარიშების მიხედვით და გუჩკოვის ფორმულით მიიღეს. მხოლოდ „ცხენების გამოსაცვლელად“, სახელმწიფოს დაცვის კომისიის წინადადებით 94,782 მანეთი მოუმატეს.

**დიმიტრუკოვი** კითხულობს საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას. ნავარაუდევია 159,474,970 მან. აქედან გემთა ასაგებად 5½ მილიონსა თხოულობენ. შავი ზღვის გემებისათვის 24 მილიონსა და ნავთსადგურების ასაგებად 5 მილიონსა.

**საზღვაო მინისტრი** იცავს ხარჯთ-აღრიცხვის ცალკე მუხლებს.

**სახელმწიფოს დაცვის კომისიის მომხსენებელი თ-დი შახოვსკოი** მოითხოვს საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოტოვებულ მუხლის აღდგენას და გემთა შესაკეთებლად 865 ათასის გადადებას მოითხოვს.

**ზვეგინცევი.** ხუთის წლის მუშაობას გაუჭრია და საზღვაო სამინისტრო იმ გზას დასდგომია, რასაც ყოველთვის ურჩევდა ხოლმე სათათბირო. მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ამისათვის ზრუნვა გვმართებს.

**ჩელნიკოვი** აღნიშნავს, თუმცა სამინისტრო სცდილობს სათათბიროს სურვილთა ასრულებას, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია, მომავალში აპირებს გაკეთებასაო. ამიტომ ხუთი წლის შემდეგ საზღვაო სამინისტროს შეფიქრიანებულნი უნდა განვშორდეთო.

**კუზნეცოვი** გაუკვირვებია მინისტრის საქციელს: რატომ არა სთქვარა ჰელსინგფორსში მეზღვაურთა დაპატიმრების გამოო.

საბიუჯეტო კომისიის ნავარაუდევი. ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს სახელმწიფოს კანტროლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჩვეულებრივი ხარჯი ნავარაუდევია — 404,554,046 მან. და არა-ჩვეულებრივი 100 მილ. ეს უკანასკნელი ფული 4 პროც. განაღდებისათვის ყოფილა აჭირო.

**სვენციცკი** კითხულობს მოხსენებას გზათა სამინისტროს არა-ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვაზე, რომელიც ნავარაუდევია 109,860,258 მან.

**როდიჩევი** ლაპარაკობს ამურის გზისათვის გადადებულ ფულის თაობაზე და იგონებს იმ დროს, როდესაც სათათბიროს უმრავლესობას განსვენებულ სტოლიპინის დაჟინებით მოთხოვნისათვის დაუთმია და ამ გზის გაყვანისათვის ფული გადაუდვია. ეხლა ყველას შეუძლიან დაინახოს, რომ ამურის გზა სრულიად საჭირო არა ყოფილა და ვერც დროზე დაუმთავრებიათ. დაე სათათბიროს უმრავლესობამ, ვისაც ამ გზის გამო ხალხის გაყვლეფის ბრალი დაედება, მოსთხოვოს პასუხი მთავრობასა; რა გაურიგებიათ და რა ჰხდება ეხლა ამურის გზაზე?

**ჩილიკინი.** ხელმწიფეს რომ მოხსენება წარუდგინა გზათა მინისტრმა, ძალიან გამშვენიერა და კარგი სურათი დაუხატა ამურის მხრის მდგომარეობასაო. საზოგადოდ ეს საქმე სენატის რევიზიის ღირსია, რადგან დიდი არეულობააო. მოლაპარაკე როდიჩევს უპასუხებს: ამურის რკინის გზის გაყვანა საჭირო იყოო.

**ძიუბინსკი.** ყურადღება მიაქციეთ ამურის გზაზე მომუშავეთა მდგომარეობას: ხელფასი ძალიან მცირე დაუნიშნავთ, მუშებს უქმე დღეებშიაც კი ამუშავებენო.

**გზის გამყვან გამგეობის უფროსი.** ჯერ გზა არ დაგვიმთავრებია და როგორ შეიძლება საყვედურის თქმა; იმედი არ გაუმართლებიაო. გზა 1916 წელს უნდა დაამთავრონ და არა 1912 წელსა. შემდეგ ძიუბინსკის სიშუავს ეხება: დაუმტკიცებელი ფაქტები სთქვაო

ხარჯთ-აღრიცვა მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს **გოდნევის** მოხსენებით სამხედრო სამინისტროს არაჩვეულებრივი ხარჯთ-აღრიცხვა—7,012,895 მანეთად ნავარაუდევი.

1912 წლის ხარჯთა განხილვა გათავდა.

**ალექსეენკო** კითხულობს მოხსენებას სახელმწიფო 1912 წლის შემოსავლის თაობაზე. შემოსავალი ნავარაუდევია 2,901,919,261 მან., ამაში ჩვეულებრივი შემოსავალია 2,896,519,261 და არაჩვეულებრივია— 5,400,000 მანეთი. საბიუჯეტო კომისიის ნავარაუდევი მთავრობისას 4134900 მან. აღემატება. ეს გადიდება გამოუწვევია დაკვირვებას. 1912 წლის იანვარსა, თებერვალსა და მარტს 22 მილიონით მეტი შემოსულა, ვიდრე ამავე დროს შარშან. ამიტომ გვგონიაო, ამბობს ალექსეენკო, საბიუჯეტო კომისია არ შემცდარაო. (ხანგრძლივი ტაში). ხარჯთ-აღრიცხვის ცალკე ნომერები უკამათოდ მიიღეს.

**თავმჯდომარე.** ბიუჯეტის განხილვა გათავდაო. **საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსეენკო**

## ლიტერატურული სილუეტები.

(დასასრული *)

ინდივიდუალური სიყვარული ნაყოფია კულტურული განვითარებისა. უკულტურო საზოგადოება არ იცნობს ამ გრძნობას. გონებრივად განუვითარებელი ადამიანი დედაკაცში ეძებს არა სულის ნათესავსა და მეგობარს, არამედ თანამშრომელს, რომელსაც შეეძლება მას ჭირს და ლხინში ცხოვრების მძიმე უღელი გაუწიოს. და განა ქართულს სოფელში სოციალური დიფერენციაცია და სულიერი კულტურა იმდენად წინ არის, რომ შესაძლებელია ჭეშმარიტად ინდივიდუალური, რაინდული და რომანტიული სიყვარული, როგორც მას თებერა განიცდის?

ჩვენ გვგონია რომ არა. ჩვენი ღრმა რწმენით თებერა თავისი თავდავიწყებული სიყვარულით არ არის **ნატურალისტურად** დანახული ჭეშმარიტება. ბარნოვი არასოდეს არ სცდილობს მოგვცეს ცხოვრების უტყუარი ასლი ან მისი ოქმი. განსაკუთრებით „თებერას დანიშნული“ არ შეიძლება ვიწრო ნატურალისტურს ნაწარმოებად ჩაითვალოს. აქ ბარნოვი რასაკვირველია აჭარბებს, ხაზს უსვამს ცხოვრებიდან აღებულს ელემენტს, მიტომ ის ჭეშმარიტი ხელოვანია და არა ფოტოგრაფი. ნამდვილი შემოქმედი კი ყოველთვის სჭარბობს: აჭარბებს თვით ემილ ზოლაც, ეს დიდი ქურუმი უკიდურესი რეალისტური რომანისა.

ხელოვნების მიზანს რომ მართლაც ემპირიული სინამდვილის წაბაძულება შეადგენდეს ან მისი ფოტოგრაფიულად გადაღება, მაშინ ესთეტიურს შემოქმედებას არავითარი ფასი არ ექმნებოდა. მიტომ, რომ ემპირიული სინამდვილე ყოველთვის უფრო ძლიერი და ჭეშმარიტი იქნებოდა ვიდრე მისი ასლი. ეს წაბაძულება ყოვლად შეუძლებელიცაა. მიტომ რომ ხელოვნური სურათები არსებობენ ფანტაზიის, ფერების ან ხმების სფეროში, ობიექტიური სინამდვილე კი რამდიმენსიონალურს სივრცესა და დროების მიმდინარეობაში.

თებერა ესთეტიური თვალით დანახული ჭეშმარიტებაა და არა მეცნიერული ან პრაქტიკული გონებით აღმოჩენილი სინამდვილე. ჩვენს სოფელში თებერას ტყუპი ან ორობი ალბად არ მოიპოვება: ალბად არსად არის ისეთი ადამიანი რომელიც ყოველ წვრილმანში ჰგავდეს ბარნოვის გმირს. მაგრამ ამისთვის ჩვენს ბელეტრისტს საყვედურს მხოლოდ ის ეტყვის ვისაც სრულიად არ ესმის ხელოვნების მიზნები. მიტომ რომ მწერლის პრობლემას შეადგენს ესთეტიურად დამთავრებული სურათის შექმნა და არა ეთნოგრაფიული ან სტატისტიკური გამოკვლევა.

—

ამგვარად საერთოდ „თებერას დანიშნული“ შეიძლება რეალისტურს ნაწარმოებად ჩაითვალოს თუმცა მასში ძლიერია არა რეალისტური, სახელდობ მისტიური და სიმბოლიური ელემენტებიც.

ღრმა მისტიციზმითაა გამსჭვალული ის ადგილი, სადაც თებერა სოფლის ბავშვებს იმ შიშის შესახებ მოუთხრობს, მან რომ უტეხს ტყეში განიცადა, ჰანჰრობის პირას. უმთვარო ღამეში შუაღამისას ის გამოაღვიძა რაღაც უცნაურმა ძალამ. მთელი ჰაობი განათებული იყო სვეტებივით ამართული, მოარული, მოლურჯო სინათლით. უზომოდ შემკრთალი თებერა ჩააკვირდა ამ ალის სვეტებს და თვითეულში ქალის სახე აღმოაჩინა. თავისკენ იწოდებდა ერთი ამ ალქაჯთაგანი მას. ისიც გაჰყვა მის ნაზს და მომხიბლავს ძახილს. „ისეთი ტკბილი მეჩვენა იმისი ხმა, როგორც სალამურის სტვენა: მისმა ძახილმა რბილად დამიარა ტანში და გამათბო; მთლად მიმიზიდა იმისმა ღიმილმა და მე უნებლიედ წავედი მისკენ. ვიცოდი, რომ ხელს მომხვევდა და დამღუპავდა, მაგრამ მაინც მისკენ მივდიოდი“.

ამ შესანიშნავს ადგილში სიმბოლიურად და მისტიურად გამოხატულია ის ელემენტარული ძალა „მუდმივი დედაკაცობისა“, რომელიც დასაბამიდან სტანჯავს, ატკბობს და იზიდავს მამაკაცს. თებერაც იმ სიზმრისებულ მოჩვენებას ძალაუნებურად ყოველდღიურს სინამდვილეს უკავშირებს. ის სრულიად მოულოდნელად მსგავსებას აღმოაჩენს იმ ტყის ალსა და ეონას შორის, რომელიც მის მსმენელთ შორის ზის შეშინებული და ფერდაკარგული. გამოურკვეველს და უანგარიშო გულის თქმას იწვევს ვაჟში ეს სახე. ამის შემდეგ თებერას და ეონას შორის იბმება ის იდუმალი, ამოცანით აღსავსე კავშირი, ადამიანები სიყვარულს რომ უწოდებენ.

ბარნოვს სწამს რომ სიყვარული შემთხვევითი მოვლენა არ არის. არა, ის საბედისწერო, უძლეველი ძალაა. ორს შერჩეულს, ერთი მეორესათვის დანიშნულს არსებას ის აკავშირებს უხილავი ძაფით, რომლის გაწყვეტა შეუძლებელია. არსებობს სულთა ნათესაობა, სულთა ძიება და ლტოლვა ურთიერთადმი. უცხოთა ობოლი სული ბოლოს მაინც იცნობს თავის „დანიშნულს“, თავის „მეგობარს“ და მისტიურად შეურთდება მას თუ ხორციელად. შეუღლება შეუძლებელია. ის გადალახავს ყოველგვარს დაბრკოლებას, რომელსაც მას ბედისწერის სისასტიკე უმზადებს ან ადამიანთა სიდუხჭირე და გაუტანლობა დ მიაღწევს იმ პატარა ბედნიერებას, რაიცა ამ ქვეყნად არის შესაძლებელი.

რატომ იტანჯება ასე უზომოდ საბრალო ადამიანის შვილი? რატომ არის საჭირო რომ ის ორიოდე წუთი ღიმილისა და სიხარულისა, მას რომ წილად ჰრგებია ამ ცხოვრებაში, უსათუოდ ცრემლებით და ოხვრით უნდა იქმნას გამოსყიდული? ეს საკითხი ერთი იმ ღრმა ამოცანათაგანია, რომლის ახსნას ამაოდ ველით ბედისწერისაგან: ჩვენი კითხვა ალბად მუდმივ უპასუხოდ დარჩება. ყოველს შემთხვევაში ჭეშმარიტება ის არის, რომ ბედნიერება პაწია კუნძულია უბედობის თვალუწვდენელს მორევში.

ბარნოვმა თავის მოთხრობაში მხატვრულად გვაგრძნობინა ეს ჭეშმარიტება. მან ამ სოფლის უდაბნოში დაგვანახვა ორი უმწეო, თავის საკუთარს ძალღონეზე დამყარებული ადამიანი და მათ გარშემო მტრული და ბნელი ძალები, რომელნიც მოსპობას უქადიან მათ. ვნებით აღტყინებული, ქვენა ზრახვით გამსჭვალული თევდორა, ეონას ხელში ჩაგდება რომ განუზრახავს, ტლანქი და თვითნება გზირი კაკლუა, ეონას სისუსტე, ობლობა და ავადმყოფობა, მისი დედის უსუსურობა და უძლებლობა მკითხაობის და ცრუმორწმუნოების ძალა ყველა ამ ადამიანებზე— აი ის პირობები ამ უანგარო სიყვარულს რომ საფრთხეს უმზადებენ.

სიყვარულის ძალა ბოლოს მაინც გაიმარჯვებს თავის გარეგანს და შინაგანს მოწინააღმდეგებზე. ასეთია რწმენა ბარნოვისა. ის კიდევ უფრო განწმენდილი და გაკაჟებული გამოვა ამ განსაცდელისაგან. მიტომ რომ ჭეშმარიტი სიყვარული არსებითად უძლეველია.

—

შიშისა და მღელვარების გამო ეონას ის ფსიხიური ავადმყოფობა გამოაჩნდა, ჩვენი გლეხები „ხატის მიზეზს“ რომ ეძახიან. მკითხავის ბრძანების მიხედვით ის ვალდებულია სამი წელიწადი „მუხის მთავარს ანგელოზს“ შესწიროს. სამი ხანგრძლივი წელიწადი მან გლახაკებზე ზრუნვაში, ლოცვა-ვედრებაში და თავის დამცირებაში უნდა იცხოვროს. შემდეგ მას დაუბრუნდება ჯანი და გონება და მიემადლება გულთმისნობის ნიჭი.

მთელი ეს მდგომარეობა დიდის რეალიზმით აქვს გადმოცემული ბარნოვს. სცენა მკითხავთან, მთავარანგელოზთან გამგზავრება, სოფლის ბრბოს მსვლელობა ეონას მეთაურობით და ბოლოს ხატის უკანასკნელი ბრძანების აღსრულება შეუდარებელის ნიჭით არის გადმოცემული. მთელი ქართველი სოფლის სულიერი ცხოვრება იხატება ამ სცენებში: მისი რწმენა, მისი სასოება, მისი გონებრივი განსაზღვრულება და ის ლოდინი სასწაულისა, რომელიც თან დასდევს ყოველს ძლიერს და მორწმუნე სულს.

მაგრამ მისტიური ელემენტები აქაც ბევრია. განსაკუთრებით იქ სადაც ავტორი გვიამბობს, როგორ იცვლება თან და თან ეონა მთავარ ანგელოსის გავლენის ქვეშ. როგორ უახვილდება მას მგრძნობიარობა და ენიჭება საიდუმლო ძალა შინაგანი მხედველობისა. „მას ვერ გამოაპარებდნენ თავიანთ ფიქრს თუ გრძნობას. თუმცა ქალი მათ არც კი უყურებდა, თითქო ვერც კი ჰხედავდა. ბევრჯელ მის სიტყვას თუ მოძრაობას წინასწარმეტყველურ ხასიათსაც ამჩნევდა ხალხი“.

აქ ძალაუნებურად იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა ჩვენს საბუნებისმეტყველო და რაციონალისტურს ეპოქაში ასეთი მისტიციზმის გამართლება? აქვს თუ არა უფლება განათლებულს კაცს მოჩვენებაზე, სასწაულმოქმედებაზე და წინასწარმეტყველობაზე ილაპარაკოს სერიოზულად, როცა ყველაფერი ეს უარყოფილია თანამედროვე მეცნიერების მიერ? ამ კითხვაზე ჩვენის გულწრფელის შეხედულობითი მხოლოდ ერთად ერთი პასუხია შესაძლებელი. **მეცნიერების** თვალსაზრისით არ შეიძლება არავითარი მისტიციზმის გამართლება. მეცნიერება პრინციპიალურად ეწინააღმდეგება ყოველგვარს საიდუმლოებას, ის ებრძვის ირრაციონალურს ელემენტებს და სცდილობს შემეცნების შუქი შეანათოს სადაც კი შესაძლებელია. ამიტომ მისტიური მეცნიერება შინაგანი წინააღმდეგობაა.

მაგრამ მთელი თანამედროვე მეცნიერული მუშაობის მიუხედავად ჩვენი არსებობა მაინც ამოცანებით

*) იხილე 1912 წლ. „სახ. გაზ.“-ს № 583.

...ტრიბუნას სტოვებს. საერთო ტაშის ცემა გაისმის.

### საღამოს სხდომა.

**თავმჯდომარეობს კაპუსტინი.** კითხულობენ სათათბიროს 31 წევრის ხელმოწერილ შეკითხვას მიწათმოქმედობის უწყების უფროსისადმი. შეკითხვა სადგ. ჩიტაში მუშათა მოწამვლას ეხება.

**გადასახლების საქმეთა სამმართველოს უფროსი.** ბევრი გადასახლებული მისწყდომია იმ ადგილს, მაგრამ მაგისთანა შემთხვევა პირველია. მოწამვლის მიზეზი ყოფილა ქვაბი, რომელიც ტყვიანარევ კალით მოუკალავთო.

**ვოლკოვი მე-2** წინადადებით დაუკმაყოფილებლად მიიჩნიეს განმარტება. საქმეზე უბრალოდ გადასვლის ფორმულა მიიღეს. სათათბირო გადავიდა განათლების მინისტრის განმარტების განხილვაზე.

**გოდნევი.** მინისტრმა ერთი ბრალდება ვერ უარჰყო და ვერ დაამტკიცა, რომ კანონიერად იქცეოდა. შეუძლია, განათლების მინისტრი გამოიცვლება, მაგრამ შეურყეველი იქნება კანონი და ჭეშმარიტება (ტაშის ცემაა).

**დიმშა.** მინისტრის სიტყვა საიურიდიო სოფიზმებითა და სიყალბით არის სავსე. მინისტრის მოღვაწეობა კარგად ახასიათებს მოსკოვის უნივერსიტეტის დარბევა-აწიოკება და პეტერბურგის უნივერსიტეტის ავდრიაქება. მინისტრს ჰსურს უნივერსიტეტი მემარჯვენე პროფესორებით აავსოს და ამის გამო მეცნიერებას ჰღუპავს.

შეიტანეს ოთხი ფორმულა; ნაციონალისტებისა, პროგრესისტებისა შეჩკოვის და გუჩკოვისა. კენჭის ყრის გამო ლაპარაკობს **ბარონი მილინგი.** გუჩკოვის ფორმულა მისაღები ვერ არის, რადგანაც მინისტრის მოქმედებამ მშობელთა უმეტესობა დააკმაყოფილა უნივერსიტეტის დამშვიდებით, ვიდრე გაამწარაო.

შეიტანეს და მიიღეს წინადადება: გუჩკოვის ფორმულა ორად გავყოთ და ცალ-ცალკე უყაროთ კენჭიო. პირველი ნაწილი იქნება ისა, სადაც მინისტრის უკანონო მოქმედების გამო უკმაყოფილება არის გამოთქმული.

პირველი ნაწილი უარჰყვეს 126 ხმით 70 წინააღმდეგ, მეორე მიიღეს 103 ხმით 101 წინააღმდეგ. ტალანში გასვლით კენჭის ყრა გაიმეორეს და გუჩკოვის ფორმულა მიიღეს 105 ხმით 102 წინააღმდეგ. ცხრას მონაწილეობა არ მიუღია.

სხვა ფორმულები უარჰყვეს.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდა.

## სახელმწიფო საბჭო

### დეპეშები.

**თავმჯდომარე აკიმოვმა** იმპერატორის საპასუხო დეპეშა წაიკითხა. შემდეგ უკამათოდ მიიღეს რამდენიმე კანონ-პროექტი.

კამათი გამოიწვია პროექტმა, რომელიც ხაზინისათვის ახალ შენობის ასაგებად ფულის გადადებას თხოულობს. ამ პროექტში სათათბირომ ფინანსთა მინისტრს დაავალა გაყიდვა ერთი სახლისა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ეკუთვნის, თუ სახლი არ გაიყიდება 1913 წ. 1 იანვარს სამინისტრომ ამის მიზეზები უნდა განუმარტოს სათათბიროს.

**იკსკული.** ასეთი დადგენილებანი კანონ-პროექტებში არ უნდა იყოს, რადგანაც ესენი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალთა შორის ახალ განწყობილებას ამყარებს. ამიტომ სათათბიროს დადგენილება უნდა ამოიშალოს.

იკსკულს პასუხი გასცეს ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ვებერმა და დმიტრიევმა. ორივენი თხოულობდნენ, პროექტი სათათბიროს რედაქციით მივიღოთო.

საბჭომ იკსკულის შესწორება უარჰყო და პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღო.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის საქმე.** ამ თხზულებათა გამომცემელი ექ. მიხ. გედევანიშვილი შესდგომია ყველა იმ მასალის შეგროვებას რომელსაც ილიას ცხოვრებასთან რაიმე კავშირი აქვს. გამოირკვა, რომ ამგვარი მასალები მეტად ცოტა ყოფილა და ისიც სხვა და სხვა ალაგას გაფანტული, მაგრამ გამომცემელს ახლავე უკვე ხელში ჩავარდნია ილიას ზოგიერთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო წერილები 1858—1874 წლ., რამოდენიმე სურათი ილიასი სტუდენტობის დროს. ამავე გამომცემლის დავალებით ცნობილ ჩვენ პროფესორს ივ. ჯავახიშვილს პეტერბურგის უნივერსიტეტში შეუგროვებია ილიას სტუდენტობის შესახებ ცნობები და მასალები. სარედაქციო კომისიაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასალების შეგროვებას და შემუშავებას. კომისიაც და გამომცემელიც დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა, ვისაც კი რაიმე შესაფერი მასალა მოეპოვება, მიაწვდის გამომცემელს.

✦ **მამადავითობა.** ხუთშაბათს, 10 მაისს, მამადავითობა დღეს, აუარებელი ხალხი მიაწყდა მამადავითის ეკლესიას, სადაც მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულის პოეტის ილიას საფლავზე.

✦ **ილიას ძეგლის კურთხევა** როდის მოხდება, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რადგანაც ძეგლის მოაჯირის გაკეთება, რომელიც მინდობილი აქვს პეტრე მამრაძეს, სხვა და სხვა მიზეზის გამო შეფერხდა.

✦ **ე. ხრამელაშვილის ავადმყოფობა.** როგორც გავიგეთ, ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი მოღვაწე და ავტორი ქართულ სახელმძღვანელოებისა ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი ამ ჟამად მძიმედ ავად არის.

✦ **ნ. ა. პეტროვი,** კავკასიის წყალთა ინსპექტორი, ბაქოს გუბერნიიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ა. ქ. როლოვი,** საბოტანიკო ბაღის დირექტორი, სოხუმიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **მოედანი სიონის ტაძრის წინ.** ამ ტაძრის კრებულმა მემამულე ქართველიშვილთან მოლაპარაკება გამართა. კრებულს აზრად აქვს, მისგან ტაძრის წინ მდებარე მიწა შეიძინოს მოედნის გასაფართოებლად.

✦ **იუნკრები სურამში** დღეს მიემგზავრებიან საზაფხულოდ.

✦ **ახალი პიესა.** ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ ვოლდევილი „მე მოვკვდი“, თარგმანი დ. ბურჭულაძისა.

✦ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** მინკვიცევის ქუჩაზე ეზო № 31. შემოვიდა **გზა დაკარგული ბავშვი** დაახლოვებით ექვსი წლისა. ვერავითარ ცნობას ვერ იძლევა, სად ცხოვრობდა ან ვისი შვილია; ამბობს მხოლოდ გიორგის მეძახიანო, ლაპარაკობს სამს ენაზე: ქართულად, რუსულად და სომხურად. არ ვიცით რომელ ერს ეკუთვნის. პატრონს შეუძლიან მიჰმართოს ამ მისამართით: **მინკვიცევის ქუჩა № 31.**

✦ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებული **ქალთა წრე** სთხოვს იმ პირთ, ვისაც ამ საზოგადოების შაურიანი წიგნაკები აქვს წაღებული, წარმოადგინოს საზოგადოების კანცელარიაში.

✦ **ქუთაისის ქალაქის გამგეობა ტფილისისას** შეეკითხა, როგორი მონაწილეობის მიღებას აპირობთ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეშიო.

✦ ტფ. საგუბერნიო სამმართველომ ქალაქის გამგეობას მოსთხოვა ასლი იმ **ანდერძისა,** რომლითაც განსვენებულმა ნიკოლოზ იაგორის ძე ზუბალოვმა ქალაქს დაუტოვა 263,385 მან. ფული და ერთი სახლი.

✦ **დეკანოზ მ. პაშკევიჩი,** სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე ბოდბის მონასტერთან არსებულ საქალებო სასწავლებელში ეგზამენებზე დასასწრებლად გაემგზავრა.

✦ **საზოგადო კლუბში** ჩვეულებრივი სალიტერატურო-სამუსიკო საღამო დღეის მაგივრად ხვალ 13 მაისს გაიმართება.

✦ გუშინ ჩვენ გაზეთში შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ **პალმოვი** სახალხო სახლში ლექციას კვირას წაიკითხავსო; ლექციას წაიკითხავს დღეს, საღამოს 8 საათზე.

✦ ათ მაისს ტფილისში 34 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ ათ მაისს ფოთის ქუჩაზე ორი ბავშვი იპოვეს' ერთი მამრობითის, მეორე მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით ორ-ორის კვირისანი' ბავშვები ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **საბირჟო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 13 მაისისათვის არის დანიშნული. სხვათა შორის, განხილულ იქმნება საბირჟო კომიტეტის მოქმედების ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, საზოგადოებას წარსულ წელს 1,074 მან. და 53 კაპ. ზარალი ჰქონია.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრება 9 მაისს მოხდა. განიხილა კომისიის თავმჯდომარე ი. ნ. ხუნუნცსა და თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს შორის მომხდარი ინციდენტი. კომისიამ დაადგინა, შესაფერი შეკითხვა შეიტანოს ქალაქის საბჭოში, ხოლო ი. ხუნუნცს სთხოვოს, კვლავ თავის თანამდებობაზე დარჩეს.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება 10 მაისს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. ყველა მოელოდა, რომ სარევიზიო კომისია საბჭოში შეკითხვას შეიტანდა ი. ხუნუნცსა და თავ. ა. მ. არღუთინსკის შორის მომხდარ ინციდენტის გამო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. შეკითხვა აღარ შეუტანიათ. კრებაზე ი. ხუნუნციც სრულებით არ გამოცხადებულა. ამბობენ, საქმე შინაურულის მორიგებით უკვე გათავდაო. საბჭომ დიდხანს ითათბირა და იკამათა გაუმჯობესებულის სისტემით ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის შესახებ. ამ საქმისთვის, როგორც ვწერდით, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 100,000 მან. არის შეტანილი. საბჭომ დაადგინა მოჰკირწყლოს მიხეილის პროსპექტი კირკიდან დაწყებული პიროგოვის ქუჩამდე და დიდის მთავრის ქუჩა. სალდათის ბაზრის მოკირწყვლა სხვა დროისთვის გადაიდო. 100,000 მანეთიდან უნდა გადაიდოს 15,000 მან. ქალაქის განაპირა ქუჩების მოსაკირწყვლელად. საბჭო ამის შემდეგ შეუდგა გამგეობის მოხსენების განხილვას, რომელიც სამშობიარო თავშესაფარისთვის საკუთარ სახლის აგებას შეეხებოდა. რადგანაც საგანი მეტად რთული იყო და დრო კი—ცოტა, ამიტომ მოხსენების განხილვა სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობის წევრთა მორიგი კრება 10 მაისს მოხდა. გამგეობამ დაადგინა: 1) საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა 27 მაისს გამართოს ახალ კლუბში 2) მონაწილეობა მიიღოს სომხურ გაზეთის „მშაკ“-ის იუბილეში და 3) მონაწილეობა მიიღოს მისალოც დეპეშის გაგზავნით ქრისტინე ალჩევსკის ქალის 50 წლის საპედაგოგიო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის იუბილეში, რომელიც ხარკოვში 20 მაისს გაიმართება.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 3 ივნისისათვის დაინიშნა. განსახილველ საგანთა სია, აგრეთვე ანგარიში გამგეობას უკვე დამზადებული აქვს.

### სასწავლებლებში

✦ **რევიზია.** წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობა ამ დღეებში თავის წევრებს ჰგზავნის საზოგადოების სკოლების სარევიზიოდ.

✦ **სასულიერო სემინარიაში** ეგზამენები დასრულდება 1 და 2 კლასში. 19 მაისს, 3 4 და 5 კლასში-26 მაისს და უკანასკნელში (6)-28 მაისს.

### ბაქო.

✦ როგორც დეპეშათა სააგენტო იტყობინება, ვაჟების გიმნაზიაში სწავლის დროს მეექვსე კლასის მოწაფეს **კასიმოვს** რევოლვერით მძიმედ დაუჭრია ფრანგული ენის **მასწავლებელი გრაფი აპრაქსინი.** დამნაშავე შეუპყრიათ.

### ტფილისის მაზრა.

✦ **გაძარცვა.** 5 მაისს სოფელ არახლოს მცხოვრები თათარი ვალიმულეი-ისა-ოღლი ცხენით მიდიოდა ნემეცების სოფელზე ელიზავეტალისაკენ. მას დახვედრია ორი შეიარაღებული უცნობი, რომლებსაც გაუძარცვნიათ. წაურთმევიათ ფულად—20 მანეთი და ცხენის აღვირი. გაძარცვის შემდეგ გაქცეულან, მაგრამ დროზედ მისწრებულს ჩაფრებს მძარცველები დაუჭერიათ. აღმოჩენილან—სოფელ გაოუბანის მცხოვრებნი: ივანე კელბერაშვილი და სიმონ ორთანეზოვი.

✦ **დაჭრა.** 9 მაისს სოფ. მარტყოფის მცხოვრებმა, აბრამ მანაველიშვილმა თოფით დასჭრა მარცხენა ხელში—მარტყოფის სახელმწიფო ტყის დარაჯი ისაკ გიორგის ძე კობიევი. დაჭრის შემდეგ მანაველიშვილი მიიმალა. მის დასაჭერად ზომებია მიღებული.

## მოწოდება

ტფილისში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს ქართულ ვაჟთა გიმნაზიისა და ქალთა სკოლის ღარიბ მოწაფეებს უფასო სადილები მიაწოდოს, ჩვენი სკოლების მოზარდი თაობა ისე ცუდად იკვებება, რომ ბევრი მოწაფე ხშირად მშიერი არის ხოლმე, საზრდოს ნაკლებობა კი ნორჩს სხეულსაც ასუსტებს და გონებასაც უჩლუნგებს ბავშვსა. სწორედ ამგვარის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსდა ზემოხსენებული საზოგადოება.

საზოგადოების გამგეობა მიმართავს ქართველ საზოგადოების შეძლებულ ნაწილს, მათ შორის სოვდაგრებს, ვაჭრებს და მრეწველებსაც და სთხოვს ხელი მოუმართონ მას ამ ყოვლად სასარგებლო საქმის მოწყობაში. გამგეობა იმედს არა ჰკარგავს, რომ საზოგადოებაში ბევრი აღმოჩნდებიან, რომელნიც, ზოგი ფულით, ზოგი [illegible] და სურსათით, ზოგიც სამზარეულოს და სასადილოს [illegible] შეეწევიან სასადილოს (მიიღება: ჰიქები, დანა-ჩანგალი და კოვზები, მაგიდის კლიონკან, ტილოები და სხვა).

ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. **ტფილისის „უფასო სასადილოს“ საზოგადოების თავმჯდომარის კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის სახელზე, ნიკოლოზის ქ. № 66**

ყოველივე სხვა შემოწირულება მიიღება ქართულ გიმნაზიის სადგომში ყოველ დღე უქმე დღეებს გარდა, ნაშუადღევის 3 საათამდინ.

## სალიტერატურო საღამო

### დ. ლანჩხუთში

კვირას, 6 მაისს დ. ლანჩხუთში გაიმართა სალიტერატურო საღამო, რომელიც შესდგებოდა სამ განყოფილებიდან. პირველი განყოფილება შეადგენდა ბ. ლეო ნათაძის რეფერატს: „გრიშაშვილის და შანშიაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივები“. დანარჩენ ორ განყოფილებაში კი ახალგაზრდა პოეტებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოები.

აი, მოკლედ რეფერატის შინაარსი:

ყოველივე ნაწარმოებს ჩვენ ვაფასებთ ესთეტიური და პუბლიცისტური მხრით. ესთეტიურ მხარეს გვერდს ვუხვევ, ვილაპარაკებ მხოლოდ გრიშაშვილის და შანშიაშვილის პოეზიის პუბლიცისტურ მხარეებზე.

მთავარ მოტივს გრიშაშვილის პოეზიაში სიყვარული შეადგენს. სიყვარული შეიძლება იყოს ორნაირი: სულიერი და ხორციელი. გრიშაშვილის ჩანგი ამ უკანასკნელს, ხორციელ სიყვარულს უკმევს გუნდრუკს. პოეტი სულ კოცნაზე ლაპარაკობს. უფრო მეტად პოეტის სიყვარული გაზიარებული არის. აქედან წარმოდგება მისი ოპტიმისტობა. გრიშაშვილს უყვარს სიცოცხლე და ამ სიცოცხლის გვირგვინად კი ქალი მიაჩნია. მხოლოდ ხანდახან, ძალიან იშვიათად, მის ჩანგში შეიპარება სევდა—კაეშანი და ეს კაეშანიც გამოწვეულია განუზიარებელ სიყვარულის მიერ. ბრბო გრიშაშვილის პოეზიაში უცნობია; მას ეშინია ბრბოსი. მისი ჩანგი ინდივიდუალისტურია და საზოგადოებრივ მოტივებს გვერდს უხვევს.

შანშიაშვილის პოეზიაც უფრო მეტად სიყვარულის ჰანგებია. მაგრამ შანშიაშვილს და გრიშაშვილს შორის დიდი განსხვავებაა. შანშიაშვილი და გრიშაშვილი ერთი მეორის ანტიპოდებია. შანშიაშვილი პესიმისტია, გრიშაშვილი ოპტიმისტი. შანშიაშვილის ყველა ლექსში სევდა გამოსჭვივის, მისი სიყვარული უიმედოა, ნამდვილი სიყვარული მისი აზრით ქვეყანაზე არ არსებობს. ერთს უყვარს მეორე, მაგრამ ამ მეორეს სხვა ჰყვარებია (ვარდი და სუმბული). თუნდ მართლაც არსებობდეს, შემდეგ მისი უკან დახევა, როცა ის ბრაზ მორეული და იმედ გაცრუებული შინ მიდის: „მიდიოდა თევდორა თავჩაღუნული და გაჩუმებული. მხოლოდ სტვენა-ქნევა გაისმოდა მის კეხიან ცხვირიდან, როგორც მანქანის მილიდან“. მოთხრობაში სხვაგანაც ბევრია ასეთი ადგილები, სადაც ავტორი, მოპასანისებურად, ორიოდე სიტყვით მთელს სურათს იძლევა.

ძლიერ საყურადღებოა აგრეთვე ბარნოვის სწორი და მიუფერებელი შენიშვნები ტლანქი და გაუნათლებელი გლეხების ფსიხოლოგიაზე და სოფლის მასსის სულის კვეთებაზე. ის აქ მიუდგომელია: ის შორს არის გლეხის იდეალიზაციასთან, ის სოფლის ტეტიას სრულიადაც არ სთვლის ყოველ სათნოებათა განხორციელებად; ამ მხრივ ის ნაკლებ სცოდავს, ვიდრე ჩვენი საუკეთესო მწერლები.

---

...რის აღსავსე. სინათლის სფერო გაფართოვდა, მაგრამ მასთან ერთად გაფართოვდა სიბნელის ასპარეზიც, ამიტომ ჩვენ ეხლა უფრო შორს ვიხედებით, უფრო ღრმად ვიჭვრიტებით. ჩვენ საიდუმლოებით ვართ გარემოცულნი. ჩვენ მივაბიჯებთ ამ ქვეყნად თავ-ჩაქინდრულნი თუ თავაშვერილნი და თვითეულს ფეხის გადადგმაზე წინ გვეტუზება კითხვა რომლის ახსნას ამაოდ ვეძიებთ ზეცას და დედამიწისაგან. განა, სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ფაქტი ჩვენი არსებობისა და ჩვენი დანიშნულების მიზანი დღესაც ისეთი საიდუმლოება არ არის, როგორიც ამ ათასი და ათი ათასის წლის წინად იყო?

ხელოვნებას აქვს უფლება გამოჰხატოს ეს მისტიური და ირრაციონალური მხარე ჩვენი არსებობისა. კიდევ მეტი: ის ვალდებულიც არის აგვაგრძნობინოს, რომ ჩვენი ლოგიური აზროვნების ქვეყანა მხოლოდ პატარა ნაწილია მიუწდომელი და გამოუკვლეველი სამყაროსი. ის ვალდებულია დაგვანახვოს, რომ ადამიანის სიღრმეში სთვლემენ ფარულნი ძალნი და თვისებანი, რომელნიც არ თავსდებიან ლოგიკის და მეცნიერული ფსიხოლოგიის ჩარჩოებში. ერთის სიტყვით ხელოვნებაში მისტიური ელემენტი გასამართლებელია.

ჩვენის აზრით ბარნოვს ამ მხრივ სწორი ესთეტიური ალღო ხელმძღვანელობს. ადვილი შესაძლებელია რომ მას როგორც მეცნიერებით განათლებულს კაცს არ სწამს არც „აზრთა გადაცემა“, არც „სულის ნათესაობა“, არც მით უმეტეს გულთმისნობა, სასწაულმოქმედება და წინასწარმეტყველება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის სწერს არა მეცნიერულს ტრაქტატებს, არამედ მოთხრობას. მოთხრობა კი უნდა იძლეოდეს არა ავტორის კრიტიკულს რეფლექსიას ან შემეცნების თეორიას, არამედ მის გრძნობას სინამდვილისას, ცხოვრების სისრულეს როგორც ის მის შემოქმედებითის ფანტაზიაში იშლება.

ბარნოვს რომ მხატვრული ალღო მართლაც უმწვერვალესად აქვს განვითარებული ეს იმითაც მტკიცდება, რომ მას შეუმჩნევია ის ძირითადი ნათესაობა, რომელიც არსებობს სქესობრივს სიყვარულსა და სარწმუნოებრივს გრძნობის შორის. ეონას თანაგრძნობა თებერასადმი დროებით სავსებით გადადის მის რელიგიურს აღფთოვანებასა და თავდავიწყებაში, ამ ქვეყნიური საყვარელი ადამიანის ადგილს სამი წლის განმავლობაში მთავარანგელოსის ზეციური ხატება იჭერს. ეს ღრმა ფსიხოლოგიური დაკვირვებაა. ფილოსოფოსებმა კარგა ხანია მიუთითეს ამ სიახლოვეს სქესობრივი და რელიგიური განცდის შორის, კულტურის ისტორიკოსებმა დაგვანახვეს როგორ იხლართებიან ისინი ერთი ერის შორის. შოპენჰაუერმა კი მოგვცა მთელი მეტაფიზიკა სქესობრივი სიყვარულისა და ხაზი გაუსვა მის ზეემპირიულ ელემენტებს. და მართლაც სარწმუნოებისათვის ყველაზედ მეტად დამახასიათებელია გრძნობა პირადი დამოკიდებულებისა, რომელსაც ადამიანი კოსმოსის წინაშე განიცდის და ეს დამოკიდებულების და პასივობის გრძნობა ერთი შემადგენელი ნაწილია სქესობრივი ინსტინქტისა და შეგნებისაც. ერთს მშვენიერს დღეს ეს ინსტიქტი იჭრება ადამიანის არსებაში როგორც უძლეველი სტიქიონი, როგორც მოუპატიჟებელი დემონიური ძალა, რომელიც ხშირად ამაღლებს და ამდიდრებს მას, მაგრამ ხშირად ართმევს დამოუკიდებლობის შეგნებას და განადგურებას უქადის მის უნაზეს და უკეთილშობილეს სულიერ განცდათ.

ეს სქესობრივი პასივობა განსაკუთრებით ძლიერი დედაკაცის ბუნებაშია. ის ხშირად განუყოფლად ეძლევა სიყვარულს, როგორც სარწმუნოებრივი ექსტაზით შეპყრობილი ადამიანი თავის ღმერთს. ამიტომ არის რომ იქ სადაც ქალს სქესობრივი გრძნობის გასავალი ხელოვნურად ეხშობა, ის ადვილად ეძლევა რელიგიურს ეგზალტაციას. ფრანგი რომანისტები—ძმები გონკურები თავის „დღიურში“ დედაკაცურს სიყვარულს მათი სარწმუნოებრივი შეგნების ნაწილს უწოდებენ. კულტურის ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის ამ ორი გრძნობის შედუღებისა. ზოგიერთს სარწმუნოებაში თვით პროსტიტუციასაც კი კულტის მნიშვნელობა ჰქონდა და უმთავრესი მცნებები იყო ალბეჭდილი. მაგალითად ბაბილონში მილიტას ტაძარში ყოველი ქალიშვილი განსაზღვრული დღესასწაულის დროს ვალდებული იყო ფიზიკურად მისცემოდა მამაკაცს, რომელიც მას მოისურვებდა.

განსაკუთრებით ნერვებაშლილი და ჰისტერიულ დედაკაცში ჰხდება ადვილად გრძნობათა ეს ცვალებადობა. ბარნოვის ეონაც ხომ სწორედ ასეთი ქალის ტიპია. ის მოკლედ, მაგრამ მჭერმეტყველურად არის ავტორის მიერ დახასიათებული; ჭკვიანი გოგონა კი იყო ეონა, მიხედრილი; წიგნსაც კითხულობდა ჩათვლით; ზღაპრები და ამბები პურსა და წყალს ერჩივნა. მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირდა; უდროვო დროს იცოდა გაშტერება. ცოცხით ხელში, ან სურა წამოკიდებული მიაჩერდებოდა რასმე დედამიწაზე თუ ჰაერში, იდგა გარინდებული, თვალებ დაკარგული და შესტრფოდა რაღაც ჭრელ ხილვას, მანამ ვინმე არ შეუტევდა და არ გამოარკვევდა ოცნებიდან“.

საზოგადოდ ეონას სახით ბარნოვმა დიდის ტალანტით გადმოგვცა უმანკო ქალის სული, რომელიც ჯერ არ წარუყვნია განვითარებულს კულტურას: მისი შინაგანი უბიწობა, თავდაჭერილობა, დედაკაცური პასივობა, მისი ლტოლვა მიეყრდნოს საყვარელს ვაჟკაცს, როგორც შეურყეველს ზღუდეს, მიესვენოს უზრუნველად მის მკერდზე. ამის წინააღმდეგ ავტორმა გვიჩვენა მამაკაცური მხარეც ძლიერი სქესობრივი გრძნობის: თებერას უანგარობა, თავდავიწყება, რაინდობა, აქტივობა, მისი სურვილი ენაცვალოს და თავს შემოევლოს თავის სატრფოს. მის გვერდით კი თევდორას ეგოისტური გულის თქმა: მისი სურვილია გასთელოს და დატანჯოს ეონა, თავს შემოივლოს და ინაცვალოს ის. „ეხლა მას ერთად-ერთი საგანი და ჰქონდა ცხოვრებაში: ერთს წამს შეუზღუდავ მფლობელად შექმნილიყო ეონასი, ქინი მოეკლა, გამოეწურ-გამოეჟურა მისი არსება და მთლად გამოფიტული გადაეტყორცნა იგი დამცირების ჭაობში... ეხლა ეონა უნდოდა და მას მხოლოდ ვნებათა ჩასაქრობელად და დასაოკებლად, მხოლოდ ხორციელი არსება უნდოდა, მისი სხეული, თვით ქალი კი სძულდა, მას განუსაზღვრელი სიძულვილით, თვით პიროვნება ქალისა სამტროდ აღძრავდა მის მოქმედ ნებას“.

ეს ფსიხოლოგიური დახასიათება შეუდარებელია: აქ ესთეტიური სისრულით არის გადმოცემული ის გრძნობა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერული ლიტერატურა „რადისტურს სიყვარულს“ უწოდებს. „სასტიკი სიყვარული“, როგორც ის მაგალითად კუნტ-ჰამსუნმა დაგვისურათა არ არის ანორმალური არაჩვეულებრივი მოვლენა: ყოველს ჭეშმარიტს სიყვარულში არის სისასტიკის და შეუბრალებლობის ელემენტი. მაგრამ ხშირად ეს ელემენტი სავსებით მსჭვალავს ადამიანს და ის თითქმის პატოლოგიურს მოვლენად იქცევა, როგორც ეს დასავლეთის ლიტერატურაში უალდმა, ჰუისმანსმა, ორევილლმა და პშიბიშევსკიმ დაგვანახვა, ხოლო ქართულში ბარნოვმა.

საზოგადოდ თევდორა და კაკლუა მოკლე და ძლიერი მხატვრული მჭერმეტყველობით არიან დახასიათებულნი. ისინი დარჩებიან ჩვენს ლიტერატურაში ი. ჭავჭავაძის და ა. ყაზბეგის საუკეთესო ტიპების გვერდით. წარუვალს ღირსებას წარმოადგენს მოთხრობის მრავალი დეტალიც, რომლის გადმოცემა თითქმის შეუძლებელია: ამისათვის მკითხველმა თვით ნაწარმოებს უნდა მიჰმართოს. შესანიშნავია ის სცენები, სადაც აწერილია ყრილობა სოფლის სამღვდელოს წინაშე, კალოობა და უსიტყვო, გაუბედავი ტრფიალი ეონასა და თებერას შორის, მათი ტყეში შეხვედრა პირისპირ, თევდორას თავდასხმა ეონაზე, მისი სტუმრობა კაკლუასთან სახლის სანახა...

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა ბარნოვის ლიტერატურული მოღვაწეობის სავსებით გარჩევა. ამისთვის ეხლა სამწუხაროდ ძალა არ შეგვწევს: მისი ნაწერები გაბნეულია პერიოდულს გამოცემებში და ელის ადამიანს, რომელიც თავს მოუყრის და ერთად გამოსცემს მათ. ჩვენ მხოლოდ ვეცადეთ ერთი საუკეთესო მოთხრობის შეწყობით, შეძლებისდაგვარად, გამოგვეკვია ამ შესანიშნავი ოსტატის სილუეტი: ამიტომ ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილებული ვიქნებით თუ ქართველი მკითხველები და გამომცემლები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ამ ჭეშმარიტს ხელოვანსა. ეს ნარკვევი არის ჩვენი პაწია, მაგრამ გულწრფელი ხარკი იმ კარგი წუთების სამაგიეროდ, ბარნოვის უბრალო მშვენიერებით გამსჭვალულმა პოეზიამ რომ მოგვანიჭა.

**გერონტი ქიქოძე**

დეს სიყვარული დიდ ხანს ვერ გასტანს. ან ერთი და ან მეორე შეყვარებული გამოიცვლის სატრფიალო არსებას. მიწიერი სიყვარული არ არის ნამდვილი სიყვარული, ამბობს შანშიაშვილი. მშრომელ ხალხს კი თათქარიძისებურად უყურებს შანშიაშვილიო, სთქვა რეფერენტმა. ამ აზრის დასამტკიცებლად მოიყვანა მაგალითად ორი ტაეპი „შვების თავადიდან“. გლეხი შანშიაშვილის აზრით უმადურია და გაუმაძღარია, მას რომ მისცე ოცი დღის მიწა, მისთვის ეს არაფერია, კარგი სახლი რომ მისცე, ოქროს სასახლეს მოითხოვსო, ზარმაცი არის, უნდა როგორმე უშრომლად ირჩინოს თავიო. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შანშიაშვილს ხალხი სძულს, სთქვა ბ. ნათაძემ.

რელიგიურ სფერაში შანშიაშვილი ხან თეისტია, ხან პანთეისტი, ხან ათეისტი, სთქვა რეფერენტმა, თუმცა ამ წინააღმდეგობის დამამტკიცებელი საბუთები არ მოუყვანია. მისი პოეზიით ქვეყანა განიყოფება ორ უსწორ-მასწორო ბანაკად: ზე-კაცებად და ბრბოდ.

ზოგიერთი ლექსი შანშიაშვილს სამშობლოს სიყვარულზე აქვს დაწერილი, მაგრამ ესენი ორიგინალური არ არის, რადგან სამშობლოს სიყვარულზე უწინდელ პოეტებს უკედ აქვთ დაწერილი და შანშიაშვილის ამგვარი ლექსები მათი მიბაძვა არისო.

შანშიაშვილის სიყვარული წმინდა არა ხორციელი სიყვარულია, მაგრამ როცა ახალგაზრდა შანშიაშვილი დავაჟკაცდება, მისს სიყვარულს ფრთა მოეკვეცება, დაცოლშვილდება და უბრალო „обыватель“-ად, „мѣщанин“-ად გადიქცევაო, დაასრულა რეფერენტმა.

რეფერანტმა მრავალი ხალხი მიიზიდა. თვით რეფერატი ტენდენციონური გამოვიდა. ბევრი მსმენელი გაოცდა იმ ნაწილით, რომლითაც რეფერენტი ცდილობდა დაემტკიცებინა შანშიაშვილის თათქარიძეობა და მისი სიძულვილი მშრომელი ხალხისადმი. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ბ. ნათაძესთან ვინმე ოპონენტი გამოსულიყო.

**მსმენელი.**

## პასუხი არ. ჯ—შვილს*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

„სახალხო გაზეთის“ 583 ნომერში დაიბეჭდა არ. ჯ—შვილის წერილი „გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის მესვეურთა საყურადღებოდ“.

ბ-ნ არ. ჯ—შვილი რომ ცხობილი მუდმივი თანამშრომელი არ იყოს „სახალხო გაზეთი“ სა და მისი ზნეობრივ ვინაობის შესახებ ეჭვის შეტანა შეუძლებლად არ მიმაჩნდეს, მაშინ ხსენებულს წერილს მტკნარ ცილისწამებად მივიღებდი და ამ ცილისწამებას თვით ავტორს ჩავუთვლიდი ანგარიშში. მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარად სჩანს, რომ ბ-ნი არ. ჯ—შვილი სხვა ვისმე გაუხდია მოტყუების ხაგნად, მიუწოდებია მისთვის ესა თუ ის ცნობები და თანაც ეს ცნობები ისე გახუმარტავს, რომ ბ-ნ ჯ—შვილს მათზე ყალბი მოსაზრებანი და დასკვნახი აუგია და შეუდგენია.

მთავარი აზრი ამ წერილისა და მთლად მისი შინაარსი მიმართულია იმის დასამტკიცებლად, რომ გორის მაზრის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა,—„სინდიკატად“ წოდებული,—მამულების სპეკულიაციით არის გატაცებული და ეს სპეკულიაცია იერიშად აქვს მიმართული ქართველ გლეხების კეთილდღეობის საუკუღმართოდ.

იმისთანა საზოგადო დაწესებულებისათვის, როგორიც არის გომის „სინდიკატი“, ასეთი ბრალდება—დიდი სახელის გატეხაა და სამარცხვინო.

სპეკულიაცია იმ გვარი ხასიათისა, როგორსაც ჰგულისხმობს ბ-ნი არ. ჯ—შვილი, საზოგადოდ უგვანო მოქმედებაა, მოტყუებაა, თითქმის სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფაა და, რაღა თქმა უნდა, ამისთანა გამაწბილებელ მხილებას „სინდიკატის“ ხელმძღვანელნი ვერ შეიშვნევენ.

მერე, რა ფაქტიური მასალით ასაბუთებს ბ-ნი არ. ჯ—შვილი,—უფრო კი ის ვიღაც მტერ-მოყვარე „სინდიკატისა“, ხსენებულ ბრალდებას.

იგი ამბობს, „სინდიკატმა“ მამაცაშვილებისაგან ერთი მამული იყიდა 4500 მანეთად; თითონ კი ამ მამულის მარტო ერთი ნახევარი 8000 მ. მიჰყიდა სომხებსა. მეორე ნახევარზეკი ხელოვნურად ფასსა სწევს და უარი განაცხადა, როცა შვიდასი თუმანი შეაძლიესო.

ეს მშრალი ციფრები რომ აიღოთ და ერთი მეორეს შეადაროთ,—შეიძლება, მკითხველმა არა სასურველი დასკვნა გამოიტანოს, რადგანაც 4500 მან. ნაყიდ მამულის ფასი ოთხ-ხუთ წლის განმავლობაში ერთი ოთხად იზრდება. მაგრამ, სარჩული რომ გაეშინჯოს ამ საქმეს და გამორკვეულ იქმნას ყოველი გარემოება, მაშინ სულ სხვა გვარად დაიფერება წინასწარ შედგენილი აზრი.

ხსენებული მამული მამაცაშვილებმა უპირველესად ადგილობრივ გლეხებს შეაძლიეს 1906 წ. იმავ ფასად, მაგრამ გლეხებმა იუარეს. მაშინ „სინდიკატმა“ მოისურვა ამ მამულის ყიდვა და შეიძინა კიდეც. რამდენიმე წლის შემდეგ, ერთი ნაწილი ამ მამულისა (ნახევარი) სინდიკატმა 8000 მან. მიჰყიდა ერთ ჯგუფს, 9 კომლისაგან შემდგარს, რომელთა შორის ორი კომლი გაქართველებული სომხია, ერთი გაქართველებული რუსი, დანარჩენი კი ქართველი. მეორე ნახევარი კი თითონვე დაინარჩუნა, რადგანაც საცდელ მინდვრებს და სანერგის გაკეთებას აპირებს.

ახლა გამოვარკვიოთ, რა რიგად გამოიხატა ამ შემთხვევაში სპეკულიაცია?!..

არ. ჯ—შვილისებური სპეკულიაცია,—როგორც მე მესმის, მაშინ იჩენს თავს, როდესაც, მაგალითად, ნაკლებ ღირებულების ნივთს ხელოვნურად ჩარჩულ მიდგომ-მოდგომით, ამა თუ იმ ხმების გავრცელებით, მომხმარებელის (მსყიდველის) გაჭირებულ მდგომარეობის ხელზე დახვევით, მისი დაშინებით ფასს უმატებ და მცირეს დიდად ასაღებ.

მერე, განა ასეთი რამ ემრახვის „სინდიკატის“ ხელმძღვანელთ? განა გაყიდული ან გასაყიდი მამული არა ღირს ხსენებულ ფასად? განა ვინც ის მამული იყიდა მოტყუვდა და ახლა ჰნანობს—ეს რა ზარალი ვნახეთ?!

რომ არც ერთ ამ მოვლენათაგანს ვერ დაგვისახელებენ-ეს აშკარად იმით მტკიცდება, რომ იქვე ახლომახლო, სწორედ იმ გაყიდულ მამულის გვერდზედ, დესიატინა რომ ორას მანათად იშოვოს ვინმემ,-დიდ ღვთის წყალობად მიიჩნევს. რაც შეეხება იმ ქვიშნარ ნაჭერს, რომელიც ამ ჟამად „სინდიკატს“ უჭირავს და რომლის ღირებულებად შვიდასი თუმანი იცოტავა,-სწორედ ამ ნაჭერის გვერდზედ,-მიწა საჟენობით იყიდება,-არა ნაკლებ 25-40 კაპ. მაგალითად, მთელი სოფელი გაშენდა მამაცაშვილებისაგან საჟენობით ნაყიდ ალაგზე. ახლა საჟენობითაცკი იშვიათად იშოვება იქ მიწა. კონსტანტინე იოსების ძე მამაცაშვილმა, რომლის მიწები ერთი ხუთად უფრო დაშორებულია სადგურ გომზე, ვიდრე „სინდიკატის“ ხსენებული მამული,-დესიატინა 200 მან. გაჰყიდა ერთი-ერთმანეძეზედ ავკარგიანობის გაურჩევლად. „სინდიკატმა“-კი თავისი მამული დესიატინა 140 მან. დაუთმო და ისიც მხოლოდ თავანკარი ნაწილი მიწებისა.

ნუ თუ ეს არის სპეკულიაცია?! ნუთუ ეს არის თავისი კეთილდღეობის სხვის უბედურებაზე აშენება?! ნუ თუ „სინდიკატი“ მოვალეა არარად გადააგდოს უწყებულ ღირებულების საგანი, ან ისე დააფოლოს მისი ფასი, რომ თითქმის აზარალოს კიდეც?!.

რად უნდა მოიქცეს „სინდიკატი“ ასე? რა საწადელს მიაღწევს იგი მაშინ? რა მიზანს განახორციელებს? განა სულ მუქთადაც რომ დაუთმოს მან გლეხებს თავისი მიწები, ამით მითომ გაუადვილებს გლეხებს მიწის შეძენის სახსარს და პირობებს?! სრულიადაც არა! მიწას თავისი ფასი არ მოაკლდება ამ ერთის მაგალითით, თითონ სინდიკატი-კი იზარალებს და მისი ზარალი, დარწმუნებული ვარ, იქნება ზარალი მთელ იმ რაიონისა, რომელშიაც იგი მოქმედობს.

(შემდეგი იქნება)

**თ-დი ვასილი ედიშერის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი.**

*) ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად. რედაქცია პასუხს გასცემს ადგილობრივ ცნობების შეკრების თანავე. **რედ.**

## ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**სტამბოლი.** ფინანსთა მინისტრი ნაი-ბეი სამსახურიდან გადადგა. სამსახურიდანვე აპირებს გადადგომას გარეშე საქმეთა მინისტრი ასსიმ-ბეი.

პორტამ განაცხადა, იტალიელებს ოსმალეთიდან იმიტომ ვაძევებთ, რომ იტალიამ საერთაშორისო სამართლის უფლება დაარღვია და ტყვეებად კერძო პირები მიჰყავსო; კუნძულ როდოსიდან იტალიელებმა 700 ტყვე წაიყვანეს.

პორტამ დეპეშით ცნობა მიიღო, ალბანელებსა და ჯარს, სკუტარიის ვილაეთში შეტაკება მოუხდათო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხალილ-ბეიმ მთავრობას აცნობა, სტამბოლს აღარ დაბრუნდები და სკუტარიას წავალო. მინისტრთა საბჭო ალბანეთის საქმეებს იხილავს. ალბანეთში მომქმედ ჯარის მეთაურად აბდულლა-ფაშის დანიშვნას აპირებენ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგე ო)

**საზღვარ-გარედ**

10 მაისი.

**სალონიკი.** ნადეპუტატარმა იხმაილ-ქემალმა, რომელიც ეხლა აჯანყებულთ მეთაურობს, მთავრობას მემორანდუმი გაუგზავნა. იგი თხოულობს, ალბანეთში დაინიშნოს გენერალგუბერნატორი, ხალხს იარაღი დაუბრუნდეს და რამდენიმე მოხელე გამოიცვალოსო.

**ფილადელფია.** 170.000 მუშამ მაღაროებში მუშაობა დაიწყო. ნახშირი დაძვირდა.

**ბუდაპეშტი.** გუშინდელმა ინციდენტმა, რომელიც პარლამენტში მოხდა, დღეს გაფიცვები გამოიწვია. გაიფიცა 50.000 კაცი, ტრამვაის ვაგონები გააჩერეს, ფანჯრები ჩალეწეს და პარლამენტის წინ მიტინგის გამართვა სცადეს. ამას ხელი შეუშალა პოლიციამ. უბნებში პოლიციას თავს დაესხნენ და ქვასა და რევოლვერებს ესროდნენ. ჯარმაც იარაღი იხმარა, ერთი მოკვდა, 61 დაიჭრა. ამათ რიცხვიდან ორი კაცი მოკვდა. 7 პოლიციელი დაიჭრა.

**ჰამბურგი.** ზღვაში ჩაუშვეს უდიდესი სავაჭრო გემი „იმპერატორი“. მის ხელწყვა 3,150,000 ფუთს უდრის და 4,100 კაცს იტევს.

**ბუდაპეშტი.** გაფიცულები ჯარმა გაჰფანტა მაღაზიები დაკეტილია. ტრამვაი და ავტომობილები არა მუშაობს.

**სტამბოლი.** მთავრობამ განაცხადა, ალბანელები მუდამ ხელს გვიშლიან რეფორმების შემოღებაშიო. აჯანყებულნი, რომელთა რიცხვიც 600 კაცს არ აღემატებოდა ჯარმა და ჟანდარმებმა გაჰფანტეს.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიისა და ოსმალეთის მოსაზღვრე ჯარებს შეტაკება მოუხდათ. 2 ჩერნოგორელი დაიჭრა. გამოძიება სწარმოებს.

**სპარსეთის ვითარება.**

**თეირანი.** ქერმანში წესიერება დამკვიდრდა. დაბეჯითებით ამბობენ, სალარ-უდ-დოულე გარდაიცვალაო.

ეფრემი დიდი ამბით დაასაფლავეს.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრმა საუწყებათაშორისო საბჭო შეადგინა. საბჭომ უნდა შეიმუშაოს გეგმა, რომლის მიხედვითაც მთელს რუსეთში პურის ბეღლები უნდა აშენდეს.

სახელმწიფო საბჭოს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც ხოლმის გუბერნიის საკითხი აქვს ჩაბარებული, კობილინსკი ამოირჩიეს. მის მოადგილედ ლუკიანოვი. 10 მაისს ამ კომისიას კრება ჰქონდა.

## თეატრი და ხელოვნება

**ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.** ორი კვირა იქნებარაც ზემოხსენებულ წრეს წესდება დაუმტკიცეს და მან უკვე დაიწყო მოქმედება. დროებით გამგეობა და მასთან არსებული წრე ენერგიულად შეუდგა მუშაობას და ამ შაბათს, 12 მაისს, გვაჩვენებენ თვის შრომის მიერ გამოღებულ ნაყოფს. თამაშობენ ყაზბეგის „არსენას“. გამგეობამ მოიწვია წრის მუდმივი რეჟისორი, რომელიც მხნედ მუშაობს და აგრეთვე შეუდგა რეპერტუარის შედგენას. ამ უბანში მცხოვრებმა საზოგადოებამ გულმპურვალედ ხელი გაუწოდა ამ წრეს. მათ ეხლავე ეტყობათ სულიერი კავშირი და სოლიდარობა, რის დამამტკიცებელიცაა ის, რომ ბილეთები თითქმის დაიტაცეს. მიუხედავად ადგილის სიპატარავისა, გამგეობამ გადასწყვიტა ყოველ წარმოდგენაზე ათი ბილეთი მუქთად დაურიგოს უმუშევარ ხალხს.

## ჩვენი ფოსტა

**ქუთაისი.** ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე პრ. გუჯაბიძეს: არ დაიბეჭდება.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109/104 —III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან საქონ. და სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110/11, ღამ. 8 ს. 33 წ.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, № 18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ,—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სვანიშვილისა.

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,**
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში, 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი.
(თ. 1037.51)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
**დილით:**
„606“ —11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.
**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ზ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** ,—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნ ვასარდიანი.**
(წ. 1074.46)

**ექიმი ა. ნ. ჯიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა.

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**
**მუდმივის საწოლებით.**
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. მიმებს ამოწ ებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
**წამლობა „606“-ით.**
(0—1253—57)

**ქალაქის საუქციონო ზალა.** (ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად და აგრეთვე შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20%, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2%-სა. დღისით 9—3 საათამდის. (25.421.3)

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი „SALO—პიჩილინი“**
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.
მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ, развѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
(წ. 1161.9)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**
იუწყება რომ გამგეობის სამმართველოში მიმდინარე წლის **26 მაისს**, შუა დღის 12 საათზე დანიშნულია
**საჯარო ვაჭრობა**
ერევნის მოედანზე, ტრამვაის ფარდულის გასწვრივ მდებარე გამაგრილებელ წყალით სავაჭრო
**საქალაქო ფარდულის იჯარით გასაცემად.**
პირობების გადათვალიერება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, ტფილ. ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილების საიჯარო ნაწილში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3.1261.1)

**ყოველ-დღე მოგვდის:**
**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—57)

**თევზის მრეწველნი ძმ. მეგველოვები.**
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.

**სააქციონერო საზოგადოება „ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.**
(დაარსებული 1860 წ.)
იზმაილოვის პროსპექტი, № 27.
**1900 წ. პარიზის ოქროს მედალი.**
**ო-დე-კოლონი ორადი.**
**ო-დე-კოლონი სამადი.**
**ო-დე-კოლონი № 4 (ექსტრაქტი)**
**ღირსებით არ ჩამოუვარდება უცხოეთის ნაწარმოებს.**
თავარი საწყობი: ტფილისი, საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის“ საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება,** მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც **მხოლოდ სამი სიტყვისაგან** შესდგება:
**„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.**
და **ნიშანს** საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **იმპერატორ პეტრე დიდისა,** ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.
(12—1297—9)

**განცხადებანი**
**ვისაც უხდება ყოფნა ხოლერიანებთან,** სახადიანთან, ქუნთრუშიანთან, ყვავილიანთან, წითელიანთან, ათაშანგიანთან, მუნიანთან სხვასთან და მათ ტანისამოსთან, საცვლებთან ან მათ ნახმარ ნივთებთან, თუ ჰსურს რომ არაფერი გადაედოს და არც სხვას გადასდოს, ყოველთვის უნდა ხმარობდეს **„№ 4711 სამკურნალო საპონს“.**
ნამდვილი (ცნობები თუ როგორ უნდა იხმაროთ იგი (რუსულად და გერმანულად) დაბეჭდილია და თანა სდევს საპნის ყოველ ნაჭერს.
განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონს“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია) „№ 4711 მდოგვის საპონს“ და „№ 4711 სულემას საპონს“.
„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში—ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.
სყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს არის თავდები, რომ საპონი კარგი ღირსებისაა.
M. 184049. (4—12 7—1)


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა შრომა“.